ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა
საკონსკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 04

დაბა ქედა 17 ივლისი 2018 წელი

სხდომის დასაწყისი 16:00 სთ-ზე;
სხდომის დასასრული 17:30 სთ-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, - ბადრი სურმანიძე

სხდომას ესწრებოდნენ :

საკონკურსო კომისიის წევრები: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, - სულიკო ჩხიკვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, კომისიის წევრი ლია ბოლქვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე, კომისიის წევრი - სოფიო ხაბაზი

ააიპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი - კომისიის წევრი დავით ანანიძე

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №629 ბრძანებით განსაზღვრული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ჩატარებელი ღია კონკურსის ყველა ეტაპის ქულების შეჯამება, საბოლოო შედეგების გათვალისწინებით გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა და დანიშვნის მქონე პირისათვის (მუნიციპალიტეტის მერი) დასანიშნად წარდგენა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №629 ბრძანებით განსაზღვრული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად

გამოცხადებული ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) შედეგების მიხედვით ზოგიერთ თანამდებობაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება.

კომისიამ დღის პირველ საკითხად განიხილა: ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №629 ბრძანებით განსაზღვრული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ჩატარებელი ღია კონკურსის ყველა ეტაპის ქულების შეჯამება, საბოლოო შედეგების გათვალისწინებით გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა და დანიშვნის მქონე პირისათვის (მუნიციპალიტეტის მერი) დასანიშნად წარდგენა.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარის ბადრი სურმანიძის ინფორმაცია მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ჩატარებელი ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) შედეგების თაობაზე. პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში - (1 საშტატო ერთეული) პოზიციაზე მონაწილე 11 კონკურსანტიდან მეორე და მესამე ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 2 კონკურსანტმა, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (1 საშტატო ერთეული) პოზიციაზე მონაწილე 7 კონკურსანტიდან მეორე და მესამე ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 2 კონკურსანტმა, ხოლო მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში (1 საშტატო ერთეული) მონაწილე 8 კონკურსანტიდან მეორე და მესამე ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 2 კონკურსანტმა.

კონკურსის ზეპირი დავალებისა და გასაუბრების ეტაპზე თითოეულ კანდიდატთან დასმული იქნა კითხვები ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამართლებრივი აქტებიდან. კომისიის წევრების მიერ თითოეული კანდიდატი შეფასდა ქულებით, რომელიც ოქმს დანართის სახით თან ერთვის.

შედეგების მიხედვით მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა ბარიერი, ხოლო დანარჩენ 2 პოზიციაზე გამოვლენილი იქნა გამარჯვებული.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №629 ბრძანებით განსაზღვრული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) შედეგების მიხედვით კანდიდატების მიერ მიღებულ ქულათა ჯამი განისაზღვროს წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი №1-სა.
2. კომისიის მიერ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებულ იქნას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს დასანიშნად წარედგინოს:

ა) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში - ავთანდილ ჩხიკვაძე;

ბ) მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნათია კონცელიძე.

3. ეთხოვოს კომისიის თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა.
4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე (keda.ge).
5. იმ კანდიდატებს, რომლებიც გამოვლინდნენ გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სასამართლოში შეტყობინების გაგზავნით, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

კომისიამ დღის მეორე საკითხად განიხილა: ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №629 ბრძანებით განსაზღვრული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) შედეგების მიხედვით ზოგიერთ თანამდებობაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ინფორმაცია მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსში მონაწილე კანდიდატების შედეგების თაობაზე. მონაწილე 2 კანტიდატიდან, მიღებული ქულების შედეგების მიხედვით, ვერცერთმა ვერ გადალახა მეორე და მესამე ეტაპისათვის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) კომისიის 2018 წელის 15 ივნისის №01 სხდომის ოქმით გათვალისწინებული ბარიერი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მდგომარეობის გამო, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პოზიციაზე კონკურსი უნდა გამოცხადდეს ჩაშლილად.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად.
2. იმ კანდიდატებს, რომლებმაც ვერ გადალახეს კონკურსის მეორე და მესამე ეტაპისათვის (ზეპირი დავალება, გასაუბრება) დადგენილი ზღვრული ბარიერი, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროში", შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
3. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე (keda.ge), მიმდინარე წლის 25 ივლისამდე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ბადრი სურმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: სულიკო ჩხიკვაძე

კომისიის წევრები: ლია ბოლქვაძე

დავით ანანიძე

სოფიო ხაბაზი

დანართი №1

კონკურსანტთა საბოლოო შეფასების ფორმა

№	თანამდებობა	კონკურსანტის პირადი ნომერი	საბოლოო ქულა
1	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში	61008016226	9.4
2		61008001520	15.6
3	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში	61008019136	17,6
4		61008017286	13.2
5	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში	61008016226	10.8
6		61008002548	13.2